საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3299

საშობაო ეპისტოლე

2023

**„ღმერთი ადამიანური ბუნების თანაზიარი გახდა,
რათა აღამაღლოს კაცობრივი ბუნება
ღვთაებრივ სიმაღლემდე “.**
(წმ. გრიგოლ ნოსელი)

ძვირფასო მამანო და ძმანო, ქრისტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

ღღეს უფლისა ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტეს, ვითარცა ღმერთკაცის, შიშითა და კეთილკრძალულებით ქვეყანასა ზედა, ჩვენ გულებსა და ეკლესიაში მიმღებელნი, სულიერი სიხარულით ვხმობთ: „ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

ღმერთმა და უფალმა ჩვენმა ჭეშმარიტად გამოაცხადა თავი და ჩვენთვის, ჩვენი ცხონებისა და განღმრთობისათვის სასწაულებრივი და განსაკუთრებული სახით განხორციელდა: არ განხრწნა ქალწულებრივი წიაღი. უფლის ყოვლადწმინდა დედა და დედა ჩვენი, თუმცა კი შვა ქრისტე და იქმნა ღმრთისმშობელი, მარად ქალწულად დარჩა და კაცთა მოდგმის დიდებას წარმოადგენს და მის ყველაზე სრულყოფილ ძღვენს.

მართალია თავისი არსით მთელი სამყარო უფლისა და თვისი შემოქმედის დიდად მშვენიერი სამეუფო პალატია, მაგრამ ცოდვის მიზეზით ეს მშვენიერება და კეთილსახოვნება სოფელმა დაკარგა, სიხარული დასცხრა და ყოველივე ბნელ-იქმნა.

აწ უკვე უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობით ყოველივე ქმნულება უფლისა განათლდა, ქალწული გამობრწყინდა, მადლი გაცისკროვნდა, ვარსკვლავმა მოგვებს აღმოსავლეთით მოუწოდა, ანგელოზთა წმინდა დასი ნათლითა ბრწყინვალითა გარდამოვიდა აქამომდე ცივსა და წყვდიადით მოცულ მიწაზე, რათა განცვიფრებული მწყემსების წინაშე ზეციური დიდებისმეტყველებისა და მადლიერების საგალობელი აღევლინა:

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“(ლუკა 2:14).

ამ ზეციურ-მიწიერ დღესასწაულში, რომელიც სამყაროს სულიერი სიხარულით აღავსებს, ლოცვით მონაწილეობს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, სულში სარწმუნოებისა და სათნოებების ანთებულ კანდელს რომ იმარხავს, რადგანაც როგორც სახარების ყველა შემდგომი სასწაულებრივი მოვლენა, ასევე მოვლენები ქრისტეს ეკლესიისა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ფასდაუდებელი საბოძვარი და ნაყოფია ქრისტეს შობისა.

ღვთაებრივი სიცოცხლე აღწევს კაცობრივ ცხოვრებაში, რათა შეაჩეროს ცოდვის მასშტაბები, ალაგმოს და სძლოს მას. მზე სიმართლისა მაშინ აღმობრწყინდა, „რაჟამს გარდაერია ცოდვაჲ“ და ბოროტებამ თავის უკიდურეს ზღვარს მიაღწია, რათა შემუსროს „მრავალნი იგი თავნი ვეშაპთანი“, თავის მამასთან - ეშმაკთან ერთად და დათრგუნოს შედეგი ცოდვისა - სიკვდილი. „თავსა შინა გველისასა დამკვიდრებული იგი ძალი შემუსვრილია“, მაგრამ მხეცის კუდი და ბოლო ჯერ კიდევ არ წყვეტს მოძრაობას და ბოროტების გამოვლენას განაგრძობს, რაც განუწყვეტლივ განაფიცხებს კაცთა ცხოვრებას. როგორც ამას ხატოვნად აღწერს წმ. გრიგოლ ნოსელი („საკითხავი, თქმული შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსა“)!

* * *

საყვარელნო ძმანო!

ღვთაებრივი შობის ყველა სასწაულებრივ და მაცხოვნებელ ნიჭს თავიდანვე მძიმე ფასი დაედო. მაშინ სისხლისმსმელი ჰეროდეს უკეთურება გადმოინთხა უბოროტო ჩვილებზე და საშინელი სისასტიკით მოსრა ათასობით მათგანი. ვის ძალუძს აღწეროს ტრაგედია ამ მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი უბედურებისა და ტანჯვა-წამებისა? „აღრეული იგი გოდებაჲ და ტკივნეული იგი ვალალაებაჲ შვილთა და მშობელთაჲ, თჳსთა და ნათესავთაჲ, რომელნი-იგი მტარვალთა უწყალოებისა მიმართ საწყალობლად ღაღადებდეს?“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, იქვე).

განა დღევანდელ დღემდე არ არიან ბავშვები უფროსების უსამართლობის მსხვერპლნი? განა არ არსებობს ბავშვთა ათასგვარი ექსპლუატაცია უფროსების ცრუ ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის? განა ბავშვები არ წარმოადგენენ ნათელ მომავალს, რომელსაც წინ აღუდგებიან და დარტყმას აყენებენ ომები, ეპიდემიები, პანდემიები, ხელოვნური გამოგონებები და სხვა უბედურებები, აღძრულნი დიდთა და ძლიერთაგან ამა სოფლისათა?

და ყველაზე მთავარი: განა არ იწამლებიან პატარა ბავშვების უმანკო

სულები ე. წ. ცოდნის მყრალი გამონაბოლქვით, რომლის გადაცემაც სურთ მათთვის ზოგიერთ, ვითომდა განათლებულ, სინამდვილეში კი დაბნელებულ მოაზროვნეთ. ან საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლებშიდაგეგმილიბავშვთასექსუალურიაღზრდარასწარმოადგენს, თუ არა მათი გახრწნის მცდელობას? საგანგებო აქცენტები მათ უკიდურეს განსხვავებულობასა და განსაკუთრებულობაზე სხვას რას ემსახურება, თუ არა სქესისა და ორიენტაციის შეცვლის პროგრამებში ბავშვთა ჩართვის მიზანს!

ეს ორგანიზებული მცდელობა ბავშვთა ნაადრევი გახრწნისა და ზნეობრივი დაცემისა, ცხადია, სულთა დასაღუპად მიმართული ჰეროდეს ტაქტიკის უტყუარ გაგრძელებას წარმოადგენს! მშობლებო, მასწავლებლებო, მღვდლებო, სულიერო მოძღვრებო, მორწმუნე ქრისტიანებო - ჩვენ ყველანი უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენ შვილებს, დავიცვათ ისინი მათი დაღუპვის მცდელობისგან!

ყველაესმოძრაობა,როგორცცნობილია,ერთსქესიანთა„ქორწინების“ (რომლის აქტიური პროპაგანდაც მიმდინარეობს) წინ წამოსაწევად, მათთვის „შვილის აყვანის უფლების“ მისანიჭებლად, სინამდვილეში კი გარყვნილი უმცირესობის უშჯულო და წარმოუდგენელი ვნებებისათვის ბავშვების გამოსაყენებლად მიმდინარეობს! არა, ჩვენ არ გვინდა და არ ვისურვებთ ამგვარ საზოგადოებას ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის!

* * *

საყვარელნო მამანო და ძმანო!

ჩვენ არ გვსურს ამ დიდი დღესასწაულის სიხარულის შეცვლა იმ ტრაგიკული მოვლენების გახსენებით, დღეს რომ ხდება. მაგრამ მწვავე აღმასვლა არსებული საშიშროებისა გვაიძულებს მათ შესახებ გაუწყოთ, რათა საჭირო თავდაცვითი ზომები იქნას მიღებული.

ჩვენ ვიმედოვნებთ და ვლოცულობთ მასზედ, რომ არ დაგვტოვოს ბეთლემს შობილი ღვთაებრივი ყრმის მადლმა, არამედ აღგვადგინოს, დაგვამშვიდოს და განგვამტკიცოს ღვთაებრივ მშვენიერებასა და ღირსებაში,ყოველგვარივნებისგანგანგვათავისუფლოს,აღგვამაღლოს და გვაცხოვნოს ქვეყანასა მას ცხოველთასა!

ქრისტე იშვა!
შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2023

წმინდა სინოდი
მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა
† კალინიკე